პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 16 მაისი, 1943 წ. № 107 (6732). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 მაისის დილის ცნობა

14 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები საარტილერიო სროლას ეწეოდნენ მტერთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენმა ნაწილებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების თავდასხმებით დაანგრიეს მტრის სიმაგრეები. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დამსხვრეულია მტრის რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპობილია 4 ქვემეხი და დაზიანებულია გერმანელთა 2 ტანკი. 6 ნაწილის მებრძოლებმა გაჰფანტეს და უკუაგდეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, რომელიც ცდილობდა დაეზვერა ჩვენი თავდაცვის სისტემა. უფროს სერჟანტ გალკოვსკისა და სერჟანტ კოზლოვის გუნდების მეპროექტორეებმა პროექტორთა შუქში მოამწყვდიეს გერმანელთა თვითმფრინავი „ჰაინკელ-111“. მფრინავმა ორიენტირების უნარი დაჰკარგა, თვითმფრინავმა პიკირება იწყო, ბიწას დაენარცხა და საკუთარ ბომბებზე აფეთქდა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მტრის რკინიგზის სადგურებსა და ეშელონებს. აღნიშნულია, რომ ბომბები პირდაპირ ნოხდა სასადგურო შენობებსა და ნაგებობათ. ბევრგან გამოწვეულია დიდი ხანძარი და აფეთქება. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარის კონტრიერიში. მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა და უკუგდებულ იქნა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ხელთ იგდეს 5 გრანატსატყორცნი, 28 დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი, 86 შაშხანა და ავტომატი.

* * *

იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი მოწინავე ნაწილები დაზვერვას ეწეოდნენ და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ცეცხლს უშინდნენ მტრის სათვალთვალო სამიზნეებს. ჩახშობილია საარტილერიო ბატარიისა და 8 სატყვიამფრქვევო წერტის ცეცხლი, დამსხვრეულია 15 საზიდარი, გაფანტულია და ნაწილობრივ ნოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სევსკის რაიონში მტრის ქვეითი ჯარი ცდილობდა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი თავდაცვა, მაგრამ უკუგდებულ იქნა პირვანდელ პოზიციებზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 80 გვამი.

* * *

ტარნოპოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა დაანგრია 2 რკინიგზის ხიდი და ლიანდაგიდან გადაადგო 6 მტრის მატარებელი. მოსპობილია ორთქლმავალი და 27 ვაგონი საომარ ტვირთიანად. ჩერნიგოველ პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც რკინიგზის ხიდს იცავდა. გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს გერმანელი მცველები, შემდეგ კი აიფეთქეს ხიდი. უკანასკნელ დღეებში ამ რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაადგეს გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. მოსპობილია 3 ორთქლმავალი, 9 ვაგონი, და 36 პლატფორმა ავტომანქანებიანად.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება წერილი საბჭოთა ჭაბუკ ნიკოლოზისა, რომელიც ჰიტლერელების მიერ ძალით არის წაყვანილი გერმანიის კატორღაში: „გამარჯობა, ძვირფასო დედიკო! ამჟამად მე ქალაქ ლაიპციგში ვარ. ვნუშობ ქარხანაში. ორჯერ შევეცადე შინ გამოქცევას, მაგრამ არ მოხერხდა. შეიძლება როგორმე გადავიტანოთ ეს მძიმე და აუტანელი კატორღა, მაგრამ ჩემი ცხოვრების საქმე უკვე წასულია. პურს პაწაწინა ნატეხს გვაძლევენ, შეჭამანდი ყოველდღე როდი გვაქვს. ბარაკებში მოგვათავსეს. გარშემო ღობეა, მის ზემოდან კი—ეკლიანი მავთული. პატიმრებივით ვცხოვრობთ. უბადრუკად ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ... დედიკო, არ ვიცი განახავთ როდისმე შენ, აგრეთვე ჩემ ძმებს თუ არა“.

* * *

იუგოსლავიაში იტალიელთა მთელ რიგ გარნიზონებში მღელვარება ნოხდა. ჯარისკაცებმა მოითხოვეს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და სამშობლოში დაბრუნება. სტარაზეში ნოვო მესტოს მახლობლად აჯანყდა იტალიელთა ბატალიონი. ჯარისკაცებმა მოჰკლეს ორი გერმანელი ოფიცერი, რომლებიც ბატალიონის შტაბთან იყვნენ მივლინებულნი საკონტროლოდ. უკანასკნელ დღეებში გახშირდა იტალიელ ჯარისკაცთა გადასვლა პარტიზანთა მხარეზე. ერთ რაიონში იტალიელთა ასეულმა იარაღი აჰყარა გერმანელებს და პარტიზანებს გადასცა ისინი. იტალიელი ჯარისკაცები პარტიზანებს მიემხრნენ და მათთან ერთად იბრძვიან გერმანელების წინააღმდეგ.

15 მაისის საღამოს ცნობა

15 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

14 მაისს ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპო და დააზიანა გერმანელთა 100-მდე ავტომანქანა, დაამსხვრია მოწინააღმდეგის რკინიგზის 5 ეშელონი, ჩაახშო 11 საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარიის ცეცხლი, აიფეთქა 2 საწყობი საომარი მასალა. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 32 თვითმფრინავი. გარდა ამისა, აეროდრომებზე მოსპობილია მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი. საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა 9 ჩვენი თვითმფრინავი.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ნაწილები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. დანგრეულია მტრის 20-ზე მეტი ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპობილია 3 სანაღმმტყორცნო ბატარია და აფეთქებულია 2 საწყობი საომარი მასალა. ერთ უბანზე მოწინააღმდეგე 1 ასეულამდე ქვეითი ჯარის ძალით და 7 ტანკის დახმარებით ცდილობდა დაზვერვა მოეხდინა. სხვა უბანზე გერმანელთა 2 ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა 15 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. ორივე ამ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მძიმე ზარალი მიაყენეს ჰიტლერელებს და უკუაგდეს ისინი თავდაპირველ პოზიციებზე. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 5 ტანკი.

* * *

კრასნი ლიმანის სამხრეთით გერმანელებმა სცადეს გადმოსულიყვნენ სევერნი დონეცზე. დილადრიან მოწინააღმდეგის ერთმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა ძლიერი საარტილერიო-სანაღმმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ დაიწყო მდინარის გადმოლახვა. ნავებით გადმოსულმა ჰიტლერელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს მოწინავე ქვეგანაყოფებზე. საბჭოთა მებრძოლებმა კონტრიერიშით უკუაგდეს მოწინააღმდეგე. მიიმწყვდიეს ჰიტლერელები მდინარესთან და გაანადგურეს. ჩაძირულია 12 ნავი და გაჟლეტილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე. მოსპობილია გერმანელთა 3 ქვემეხი, 1 სანაღმმტყორცნო ბატარია, 4 დაზგის ტყვიამფრქვევი, 25 ავტომანქანა და საზიდარი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გაჟლეტეს მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 14 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 9 მიწური, მოსპობილია მოწინააღმდეგის 1 საარტილერიო ბატარია. მზვერავთა ჯგუფნენ მიტოვებულნი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა გომელისა და ორიოლის რკინიგზის კვანძებზე

14 მაისს ღამით ჩვენმა შორიმოქმედების ავიაციამ მოახდინა დიდი თავდასხმები გომელისა და ორიოლის რკინიგზის კვანძებზე. ძლიერ იქნა დაბომბილი მოწინააღმდეგის საწყობები და რკინიგზის ეშელონები საომარ მასალებით. საწვავიანად და სამხედრო ტექნიკიანად.

გომელის რკინიგზის სამგზავრო, სატვირთო და დამხარისხებელ სადგურებში თავდასხნის მომენტისათვის რკინიგზის ათობით ეშელონი იმყოფებოდა. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძის რაიონში 30-ზე მეტ ადგილას გაჩნდა ხანძარი და ძლიერი აფეთქებანი ხდებოდა. მეთვალყურენი ნათლად ხედავდნენ, თუ როგორ იწვოდა და ფეთქდებოდა საომარი მასალების ეშელონები.

ორიოლის რკინიგზის კვანძში დაბომბვის შედეგად ბევრგან გაჩნდა ხანძარი, რასაც თან სდევდა დიდი ძალის აფეთქებანი.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, გარდა ერთისა, თავის ბაზებში დაბრუნდა.

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 14 მაისი (საკადესი). რუზველტმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ თეთრ სახლს განზრახული არა აქვს 17 მაისამდე რაიმე განცხადება გააკეთოს ჩერჩილის მოლაპარაკების შესახებ. რუზველტი და ჩერჩილი მოლაპარაკებას განაგრძობენ. რუზველტმა აღნიშნა, რომ ჩერჩილი პრეს-კონფერენციაზე გამოვა მხოლოდ თავისი ვიზიტის სწორედ დასასრულს წინ.

კორესპონდენტების შეკითხვების პასუხად რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტუნისიდან იგზავნება დიდძალი გერმანული და იტალიელი სამხედრო ტყვე.

რუზველტმა უარი განაცხადა იმაზე, რომ კომენტარი გაეკეთებინა იმ მოლაპარაკებისათვის, რასაც აწარმოებდა მისი პირადი წარმომადგენელი ფილიპსი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ინდოეთიდან დაბრუნდა. მაგრამ აზრი გამოსთქვა, რომ ფილიპსი ინდოეთში დაბრუნდება. რუზველტმა აგრეთვე უარი განაცხადა იმაზე, რომ კომენტარი გაეკეთებინა იაპონელთა ცნობებისათვის კუნძულ ატუზე ამერიკელთა ოპერაციების შესახებ.

კომენტარი გაუკეთა რა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ ღერძის სახელმწიფოთა განადგურების შემდეგ ინგლისელებს და ამერიკელებს საქმე ექნებათ მოწინააღმდეგეთა არა პოლიტიკურ, არამედ სამხედრო ხელმძღვანელებთანო, რუზველტმა განაცხადა, რომ ყველა ამგვარი განზოგადება არასწორია. პოლიტიკა ამ საკითხში დამოკიდებული იქნება განსაკუთრებულ გარემოებებზე. მაგალითად, როცა გერმანიის ჯარები კრახს განიცდიან ნორვეგიაში, მაშინ მოკავშირეებს საქმე ექნებათ ნორვეგიის მთავრობასთან. რუზველტმა უარი განაცხადა იმაზე, რომ განეხილა პოლიტიკა იტალიის მიმართ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხენთა სულადობის გაღიდების, მათი მოვლისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატებებს მიაღწიეს ცხენთა სულადობის გაღიდების საქმეში. 1938-დან 1941 წლამდე განცდილ პერიოდში ცხენთა სულადობა კოლმეურნეობებში 16 პროცენტით გაღიდდა, ხოლო გერმანელ დამპყრობლებთან წარმოებული ომის განმავლობაში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საკმაოდ უზრუნველჰყვეს და განაგრძობენ კარგი და ამტანი ცხენების მხრივ წითელი არმიის საჭიროების უზრუნველყოფას.

ზოგიერთმა ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ ომის განმავლობაშიც მიაღწია ცხენთა სულადობის შემდგომ ზრდას. ტაჯიკეთის სსრ კოლმეურნეობებში ცხენთა რაოდენობა 1942 წელს 15 პროცენტით გაღიდდა, აზერბაიჯანის სსრ კოლმეურნეობებში კი—6 პროცენტით მეცხენეობის ბევრმა მოწინავემ უნარიანი და კეთილსინდისიერი მუშაობით 1942 წელს კარგ შედეგებს მიაღწია. მაგალითად, ალტაის მხარის ბოსპელიხინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმაში 30 ფაშატისაგან მიღებული და გამოზრდილია 23 კვიცი; ჩელიაბინსკის ოლქის ტროიცკის რაიონის კოლმეურნეობა „უტროს“ მეცხენეობის ფერმაში 24 ფაშატისგან მიღებული და შენარჩუნებულია 24 კვიცი; ტაჯიკეთის სსრ ივანის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმაში 51 ფაშატისგან მიღებული და შენარჩუნებულია 51 კვიცი; სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის 76-ე ცხენსაშენში 400 ფაშატისგან მიღებული და შენარჩუნებულია 338 კვიცი.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებანი მეცხენეობის განვითარებაში.

მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოებმა შეასუსტეს მეცხენეობის განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობა, რის შედეგადაც ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაშყარებული არ არის სათანადო მზრუნველობით მოპყრობა ცხენებისადმი, ლიკვიდირებული არ არის გაუპატრონებელ ცხენების მოვლასა, შენახვასა და სამუშაოდ მათს გამოყენებაში.

მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხენები უზრუნველყოფილი არ არიან ვარგისი აკაზმულობით, რაც საშუალებას არ იძლევა სავსებით გამოყენებულ იქნან ცხენები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადგილი აქვს კვიცების გამოზრდისადმი უდარდელ დამოკიდებულებას, ცხენის მოზარდეულის დიდ დაზოცვას და უკვიცო ფაშატების დიდ პროცენტს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი არასწორად სთვლიან, როცა საბჭოთა მეურნეობანი არ ზრუნავენ თავიანთ მეურნეობებში ცხენების გამოზრდისათვის და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულების საქმეში უმთავრესად ტრაქტორებისა და მანქანების იმედი აქვთ, მაშინ როცა ცხენი, მიუხედავად სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დიდი ზრდისა, უდიდეს როლს ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს სახალხო მეურნეობაში და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავენ მეცხენეობის უაღრესად მალე აღდგენის საჭიროებას გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში, სადაც ოკუპანტებმა გაძარცვეს და გასწყვიტეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხენთა სულადობა და გაანადგურეს ჯიშიანი ცხენების უძვირფასესი სანაშენოები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ მეცხენეობის განვითარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში როგორც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უზრუნველყოფისათვის, ისე კარგი, ამტანი ცხენების მხრივ წითელი არმიის საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის და საოლქო აღმასკომების, სამხარეო აღმასკომების, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების, პარტიის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, სამეწარმეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წინაშე სერიოზულ ამოცანად აყენებენ ცხენთა სულადობის გაღიდების, მათი ხარისხის ამაღლების და მოვლის გაუმჯობესების საქმეს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა, პარტიული, სამეწარმეო ორგანოებისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მოითხოვენ ბოლო მოუღონ ცხენებისადმი უდარდელ დამოკიდებულებას, სამუშაოებზე მათი გამოყენების გაუპირობებლობას, საკვებით უზრუნველჰყონ ცხენები კარგი საკვებით და მოწყობილი თავლებით, აღმოფხვრან ფაშატების უკვიცობა და უზრუნველჰყონ მიღებული კვიცების სრული შენარჩუნება. მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მუშა ცხენების მთელი რაოდენობისათვის უზრუნველყოფილი იყვნენ აკაზმულობით, ცხენის ინვენტარითა და ტრანსპორტით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

I

ცხენთა სულადობის გაზრდის დარგში

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობებში მეცხენეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა 1943 წლისათვის ცხენთა სულადობის 5,3 პროცენტით გადიდებით.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში მეცხენეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა 1943 წლისათვის ცხენთა სულადობის 6,6 პროცენტით გადიდებით.

3. ცხენთა სულადობის უფრო მალე ზრდის მიზნით, 1943 წლიდან შემოღებულ იქნას სავალდებულო დაგრილება სამი წლის ასაკს გადაცილებული ყველა ფაშატისა, რომლებიც ვარგისი არიან სანაშენოდ და რომლებიც ეკუთვნიან როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ისე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას.

სანაშენოდ ვარგისი ფაშატების დასაგრილებელ პუნქტში ან ხელოვნური დათესლვის პუნქტში მიყვანისაგან თავის არიდებისათვის დაჯარიმებულ იქნან პირადი სახსრებიდან კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირიქტორები, იმ საწარმოთა ან დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომელთაც ჰყავთ ცხენთა სულადობა, 100 მანეთის რაოდენობით თითოეული დაუგრილებელი ფაშატისათვის. დაჯარიმებას აწარმოებს რაიაღმასკომი რაიმიწგანის მთავარი ზოოტექნიკოსის წარდგინებით. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სწავლასამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის ჯარიმის გადახდევინება არ ათავისუფლებს მათ ფაშატთა სავალდებულო დაგრილებისაგან.

4. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს და დაევალოთ საბჭოთა მეურნეობებს, დამზმარე მეურნეობებს, რომელთაც 20-ზე მეტი ფაშატი ჰყავთ, იყოლიონ თავიანთი მწყრალიელი ულაყი.

უფლება მიეცეთ რაიაღმასკომებს 1943 წელს დაგრილების კამპანიის პერიოდში გამოიყენონ დაგრილების პუნქტებში ყველა ჯიშიანი ულაყი, რომლებიც ცნობილი არიან ვარგისად ჯიშის გაუმჯობესების მიზნით, დამოუკიდებლად იმისა, ვის განკარგულებაში არიან ისინი (გარდა ცხენსაშენებისა); დაგრილების ჩატარებისათვის ულაყების მფლობელებს მიეცეთ საზღაური რაიაღმასკომის დადგენილებით განსაზღვრული ფასების მიხედვით.

5. შემოღებულ იქნას ყველა დაგრილებული ფაშატის (გარდა ჯოგური შენახვის ფაშატებისა) ყოველწლიური შემოწმება დამაკების მხრივ აგვისტო-ოქტომბრის თვეების პერიოდში კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომელთაც ცხენები ჰყავთ, და მათ მფლობელებს მიეცეთ დაცვის მოწმობა ფაშატთა სიმაკის შესახებ. სიმაკის შემოწმებისა და დაცვის მოწმობების გაცემის ხაზით მუშაობის წარმოება დაეკისროთ სამეწარმეო ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოოტექნიკოს და ვეტერინარ მუშაკებს.

6. ცხენთა სულადობის შენარჩუნებისა და უფრო მალე ზრდის მიზნით, აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს მაკე ფაშატების გამოყენება ყოველგვარ სამუშაოზე მოგებამდე ორი თვის განმავლობაში და მოგების შემდეგ 15 დღის განმავლობაში. 2-3 წლის ცხენები და მაკე ფაშატები სიმაკის 6 თვიდან 9 თვემდე გამოყენებულ იქნან მხოლოდ მსუბუქ სამუშაოებზე.

დაწესდეს ცხენებისათვის პერიოდული დასვენების სავალდებულო მიცემა.

7. აიკრძალოს კვიცების ძუძუზე მოწყვეტა 5-6 თვეზე ადრე, აგრეთვე კვიცებიანი ძუძუმაწოვარი ფაშატების გამოყენება ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც დედისაგან კვიცების განშორებასთან არის დაკავშირებული.

8. დაევალოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მთელი ცხენთა სულადობისათვის სრული საჭირო რაოდენობით დაამზადონ კარგი თივა, პირველ რიგში, ნათესი ბალახებისაგან იმ ნორმებით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 29 მაისის დადგენილებით, და დაზვინულ იქნას იგი ცალკე. გარდა ამისა, სახელმწიფოს წინაშე სავალდებულო ჩაბარებათა, მტს-ების მუშაობისათვის ნატურასაზღაურის შესრულებისა და სათესლე ფონდების შენახვის შემდეგ, შეინახონ საფურაჟე მარცვლის საჭირო რაოდენობა მუშა-ცხენებისა და მოზარდეულის გამოსაკვებად. აკრძალულ იქნას სხვა სახის პირუტყვისათვის ცხენების საკვებად დანიშნული საფურაჟე მარცვლის ხარჯვა.

9. დაევალოთ საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ორი თვის ვადაში ჩაატარონ კოლმეურნეობებში თავლებით ცხენების უზრუნველყოფის შემოწმება თითოეულ კოლმეურნეობაში აქტის შედგენით. დამტკიცების რაიაღმასკომში ღონისძიებანი თითოეული კოლმეურნეობისათვის უწესივრო თავლების წესრიგში მოსაყვანად და შესაკეთებლად და ახლების ასაგებად. დაევალოთ კოლმეურნეობების გამგეობებს უზრუნველჰყონ 1943 წელს ყველა ცხენი დათბუნებული მოწყობილი სადგომებით.

10. ყოველი ოლქის, მხარის, რესპუბლიკის შიგნით ჯიშიანი მეცხენეობის განვითარებისა და ჯიშიანი ცხენების მხრივ საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს გამოიყენონ ყოველ ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში თითო-ორი რაიონი ყველაზე უფრო განვითარებული მეცხენეობისა, უზრუნველჰყონ ამ რაიონების კოლმეურნეობებში გაუმჯობესებული ცხენებისა და ადგილობრივი ჯიშის ცხენების ჯიშიანი მეცხენეობის ფერმების შექმნა, მოაწყონ იქ დასაგრილებელი პუნქტები საუკეთესო ულაყებით და ეს რაიონები შემდგომში გადააქციონ ჯიშიან ცხენების საშენებლად.

11. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს მოაწყოს 1943 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და ფერმების ბაზაზე 4 საჯიშე ცხენსაშენი: ყაზახეთის სს რესპუბლიკაში ერთი ცხენსაშენი ჯოჯეურ-სარემონტო მიმართულებისა გაუმჯობესებული ყირგიზული ჯიშის ცხენებით; სარატოვის ოლქში—ერთი ცხენსაშენი დონური ჯიშის ცხენებით; ივანოვოს ოლქში—ერთი ცხენსაშენი ბრაბანსონული ჯიშის ცხენებით; ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში—ერთი ცხენსაშენი დონური ჯიშის ცხენებით.

12. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რა ცხენთა ადგილობრივი ჯიშების განვითარებას და საჯიშე რესურსების გადიდებას სსრ კავშირის აღმოსავლეთ ოლქებში, დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს მოაწყონ 1943 წელს ჯიშიან ცხენთა ფერმებისათვის ოთხი მნიშვნელობის სანაშენოები:

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ისიკ-ყულის ოლქში, ყირგიზული გაუმჯობესებული ცხენის მოსაშენებლად;

თურქმენეთის სს რესპუბლიკის ტაშაუზის ოლქში იომუტური ცხენის მოსაშენებლად;

ყაზახეთის სს რესპუბლიკის გურიევის ოლქში ადაევური ცხენის მოსაშენებლად;

ომსკის ოლქში რუსული ჩორთითი ცხენის მოსაშენებლად;

უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში ვიატკური ცხენის მოსაშენებლად;

იაკუტიის ასს რესპუბლიკაში იაკუტური ცხენის მოსაშენებლად;

ალტაის მხარეში ალტაური ცხენის მოსაშენებლად;

ჩიტის ოლქში იმიერბაიკალური ცხენის მოსაშენებლად;

დაევალოს სსრ კავშირის ფინსახკომს საკავშირო ბიუჯეტზე მიიღოს ახლადმოწყობილი ჯიშიან ცხენთა სანაშენოები.

13. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც ჰყავთ 10 და უფრო მეტი გაუმჯობესებული ფაშატი, მოაწყონ ჯიშიანი მეცხენეობის ფერმები. ამ ფერმებში გადაცემულ იქნას ერთობლივად გამოსაზრდელად ძუძუს მოწყვეტის შემდეგ ყველა კვიცი, რომლებიც მიღებულ იქნება როგორც მეცხენეობის ფერმებში, აგრეთვე საწარმოო ბრიგადებშიც. იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მეცხენეობის ფერმები არ მოეპოვებათ, მოეწყოს ბრიგადები მოზარდეულის გამოსაზრდელად და გამოყოფილ იქნან სპეციალური მეჯინიბეები ყველა კვიცის მოსავლელად.

14. არსებული წესის შესაცვლელად დადგენილ იქნას, რომ ფულადი სახსრები, რაც კოლმეურნეობებს ცხენთა სულადობის გაყიდვით შემოუვათ, თუ მათ შესრულებული ექნებათ მეცხენეობის სახელმწიფო გეგმა, ჩაირიცხება კოლმეურნეობის ფულად შემოსავალში და განაწილდება საერთო საფუძვლების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-12 მუხლის შესაბამისად.

15. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს მოაწყოს 1943 წელს თითო სახელმწიფო სანაშენო თავლა არბანგელსკის, ტიუმენის, ომსკის, კემეროვის, სვერდლოვსკის ოლქებში და ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში. თითოეულ სახელმწიფო სანაშენო თავლაში უნდა იყოს 40 ულაყი.

დაწესდეს, რომ არსებულ და ახლადმოწყობილ ყველა სანაშენო თავლაში სავალდებულო წესით გამოზარდონ ჯიშიანი ულაყები, დაკომპლექტონ ჯიშსაშენები მოზარდეულით, რომელიც შეძენილ იქნება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში, აგრეთვე იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ჯიშიანი მოზარდეულის საკუთარი მომრავლების გზით.

16. ნება დაერთოს სსრ კავშირის მიწსახკომს მოაწყოს ყველა სახელმწიფო სანაშენო თავლასთან დამხმარე მეურნეობა საკუთარი საკვების ბაზის შესაქმნელად.

დაევალოთ საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს გამოჰყონ 1943 წელს სახელმწიფო სანაშენო თავლებისათვის სახელმწიფო ფონდის მიწებიდან სახნავი, სათიბი სავარგულები ჯიშიანი ულაყების საკვებით უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის ფინსახკომმა გაითვალისწინოს 1943 წლის გეგმით საჭირო რაოდენობის საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყოფა სახელმწიფო თავლებისათვის.

17. დაევალოთ საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს ჩაატარონ ყოველწლიურად რაიონებში, აგრეთვე საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ქალაქებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხენების მასობრივი გამოცდა სიმარდესა, ამტანობასა და ტვირთმზიდაობაში, აგრეთვე ჯიშიანი ცხენების გამოფენები და მოზარდეული ცხენების გამოყვანა.

იმ ცხენების პატრონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს გამოცდების დროს და პირველი ადგილები დაიკავეს გამოფენებსა და გამოყვანაზე, მიეცეთ დიპლომები და ფულადი პრემიები ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

დაევალოთ საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს აღადგინონ 1943 წელს საოლქო და სარაიონთაშორისო იპოდრომები, სათანადო წესრიგზე მოიყვანონ ისინი ჯიშიან ცხენთა გამოსაცდელად ნორმალური მუშაობისათვის.

18. დაწესდეს 1943 წელს იმ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის, რომელნიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ მეცხენეობაში, სამი სახელმწიფო პრემია: ერთი პირველი პრემია 200.000 მანეთის რაო

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხენთა სულადობის გაძიდების, მათი მოვლისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

(დასასრული)

24. აეკრძალოთ რაიაღმასკომებს, სასოფლო საბჭოებსა და სხვა ორგანიზაციებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცოცხალი გამწევი ძალის ადმინისტრატიული წესით გამოყენება რაიმე სამუშაოსათვის. დაწესდეს, რომ შრომისა და საჯაპანო ბეგარის სამუშაოთა შესრულებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩაბმა შეუძლიათ სოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს მხოლოდ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებით.

განთავისუფლდნენ საჯაპანო ბეგარისა და საგზაო სამუშაოთაგან ჯიშიანი ცხენების სახელმწიფო საოლქო და სარაიონო წიგნებში ჩაწერილი ცხენები, აგრეთვე ყველა მაკფაშატი ცხენი, რომლებსაც აქვთ დაცვითი მოწმობა.

III
ჯოგური მეცხენეობის განვითარების შესახებ

25. იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს მთელ რიგ რაიონებში არსებული მნიშვნელოვანი ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენებას ცხენის სულადობის გაფართოებისათვის და სასაქონლო მეცხენეობის შექმნისათვის, დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, რსფს რესპუბლიკის, უაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკებისა და ბაშკირეთის, ბურიატ-მონღოლეთისა და იაკუტიის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეთა სამხარეო აღმასკომებს, ჩელიაბინსკის, ჩკალოვისა და ჩიტის ოლქების საოლქო აღმასკომებს მოაწყონ ჯოგური მეცხენეობა და გადაიყვანონ 1943 წლიდან კოლმეურნეობათა ცხენების ნაწილი ჯოგურ რჩენაზე.

დაევალოს სტალინგრადის და როსტოვის საოლქო აღმასკომებს, სტავროპოლისა და კრასნოდარის სამხარეო აღმასკომებს, აბაშარდო-ბალკარეთისა და დაღისტნის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს შეიმუშაონ ღონისძიებანი ცხენების ჯოგური შენახვის ორგანიზაციისა 1944-1945 წლებიდან.

26. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს და იმ საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სადაც ჯოგური მეცხენეობა ეწყობა, 1943 წლის 1 ივლისამდე გაანაწილონ და მიაბმევინონ (წყალდაცვის ზონის ჩათვლით) 1943 წელს ტყის შერჩევითი კაფვა და არყის ქერქის დამზადება მორიგი კაფვისათვის განკუთვნილ ყველა ტყესაკაფში.

45. დაევალოს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ ტყის დაცვის მთავარ სამმართველოს, სსრკ სატყეო სახალხო კომისარიატს და სატყეო ფონდის სხვა მჭონეველთ დაუბრკოლებლივ მიუჩინონ ხოლმე საფასურით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ტყის ნაკვეთები სათბობი ხისაგან, ჯირკისაგან, ნაყარისაგან და ნალეწი ტყისაგან კუპრის დასამზადებლად, აგრეთვე ნება დართონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაამზადონ აღალისა და აკაზმულობის წარმოებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა (ფერსო, კავი, ხელნა, სამარწუხე კუნძურა, სახელური და სხვ.).

46. დაევალოს რსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს რსფსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ. სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს მოაწყონ ნალისა და დასაჭედი ლურსმნის წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ავსებით უზრუნველსაყოფად. სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს კვარტალურ გეგმებში ლითონის გამოყოფა საჭირო რაოდენობით.

VII
მეცხენეობის კადრების შესახებ

47. იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის როლის გამო, რომელიც ეკუთვნით კვალიფიციურ სპეციალისტებს მეცხენეობის განვითარების საქმეში, სსრკ სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ სსრკ მიწსახკომსა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს გამოავლინონ ყველა მეცხენე სპეციალისტი და გაგზავნონ სახელმწიფო თავლებში, საჯიშეებში, ცხენსაშენებში, ჯიშიანი ცხენის ფერმებში სამუშაოდ; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ მეცხენეობის დარგში სამუშაოდ მიზიდულ იქნან პრაქტიკოსი სპეციალისტები და გამოყენებულ იქნას მათი ცოდნა და გამოცდილება მეცხენეობის ახალი კადრების სწავლებისათვის.

48. მეცხენეობის ნაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების მიზნით, დაევალოს სსრკ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს აღადგინოს 1943 წლიდან პირველი ცხენსაშენის ბაზაზე მოსკოვის მეცხენეობის ზოოტექნიკური ინსტიტუტი იმ ვარაუდით, რომ ყოველწლიურად გამოშვებულ იქნას 100 სპეციალისტი მეცხენე. დაევალოს სსრკ მიწსახკომს მოაწყოს მეცხენეობის ფაკულტეტები მოსკოვის სავეტერინარო ინსტიტუტთან, ნოვოსიბირსკისა და უზბეკეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან იმ ვარაუდით, რომ თითოეულმა ფაკულტეტმა ყოველწლიურად გამოუშვას სულ ცოტა 75 კაცი სპეციალისტი მეცხენე.

49. რაიონული მეცხენე ზოოტექნიკოსების მოსამზადებლად დაევალოს სსრკ მიწსახკომს მოაწყოს 1943 წლიდან მეცხენეობის სპეციალისტ ზოოტექნიკოსთა მომზადება ჯამბულისა და ურუუმის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმებთან, ვეტოშკინის და ტიმირიაზევის (სარატოვის ოლქი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან იმ ვარაუდით, რომ თითოეულმა ტექნიკუმმა ყოველწლიურად გამოუშვას სულ ცოტა 25 კაცი.

50. დაევალოს სსრკ მიწსახკომს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს მოაწყონ 1943 წლიდან თითოეულ მხარეში, ოლქსა და რესპუბლიკაში ნალბანდთა მოსამზადებელი კურსები იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყველა რაიონული სამეედლო, აგრეთვე ჯიშიანი ცხენის ფერმებისათვის მეცხენეობის ფერმის გამგეებისა და ტრენერ-ხელოვნების მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები. კურსები ჩატარებულ იქნას სახელმწიფო ცხენსაშენებთან, სახელმწიფო საჯიშეებთან და რაიონულ საველეტერინარო სადგურებთან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

51. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს მოაწყონ ყოველ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში თითო-ორ-ორი საჩვენებელი სახელოსნო და მასთან სკოლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სასარაჯო და თვლის საქმის ოსტატთა და მარხილის, საზიდრისა და სხვა ინვენტარისა და აკაზმულობის მკეთებელ სპეციალისტთა მოსამზადებლად.

52. კოლმეურნეობებში მეცხენეობის საკითხების ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით და ცხენების მყოლ სამრეწველო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებში ცხენების წესიერი აღდგენისა და მუშაობაში გამოყენების კონტროლის განსახორციელებლად, დაევალოს სსრკ მიწსახკომს გააძლიეროს სსრკ მიწსახკომის მეცხენეობის ნთავარი სამმართველო კვალიფიციური სპეციალისტებით—ზოოტექნიკოსებითა და ვეტერინარი ექიმებით.

53. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს გააძლიერონ კვალიფიციური კადრებით მიწათმოქმედების საოლქო და სამხარეო განყოფილებათა და მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა მიწსახკომების მეცხენეობის სამმართველოები.

დაწესდეს ოლქებსა და მხარეებში მიწათმოქმედების საოლქო და სამხარეო განყოფილებათა უფროსების მოადგილეების თანამდებობა მეცხენეობის ხაზით, ხოლო მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში—მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობა მეცხენეობის ხაზით. მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებათა შტატებში შეტანილ იქნას 1943 წლიდან მეცხენე ზოოტექნიკოსის თანამდებობა.

54. შემოღებულ იქნას სსრკ მიწსახკომში სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობა მეცხენეობის ხაზით.

55. მოეწყოს 1943 წლის 1 ივნისიდან სსრკ მიწსახკომთან და მოკავშირე რესპუბლიკათა მიწსახკომებთან მეცხენეობის სახელმწიფო ინსპექცია.

დაევალოს მეცხენეობის სახელმწიფო ინსპექციას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ცხენების მყოლ ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, გარდა თავდაცვის სახალხო კომისარიატისა, შინსახკომისა და სამზედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატისა, ცხენის მდგომარეობის, აღდგენის, კვების, მოვლა-შენახვისა და მუშაობაში გამოყენების კონტროლის მოვალეობა.

მეცხენეობის სახელმწიფო ინსპექტორების მოვალეობა ოლქებსა, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში დაევალოს მეცხენეობის სამმართველოს უფროსს, ხოლო რაიონებში—მეცხენე ზოოტექნიკოსს.

56. დაწესდეს 1943 წლიდან თითოეულ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში აღდგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 2.000-მანეთიანი 3 სახელმწიფო პრემია და 1.000-მანეთიანი 5 სახელმწიფო პრემია, რომლებსაც საოლქო აღმასკომები, სამხარეო აღმასკომები და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები ყოველწლიურად მიანიჭებენ წლის დამლეგს რაიონის მეცხენე ზოოტექნიკოსებს, სახელმწიფო ცხენსაშენებისა და ცხენის საჯიშეების დირექტორებსა და სპეციალისტებს, მიწათმოქმედების საოლქო და სამხარეო განყოფილებებისა და რესპუბლიკათა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მეცხენეობის სამმართველოს უფროსებსა და სპეციალისტებს მეცხენეობის განვითარების, მოზარდეულის მიღება-შენარჩუნების და ჯიშიანი ცხენების გამოზრდის გეგმის შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. ფულადი პრემიების მიღ 'ათან ერთად გადაცემულ უნდა იქნას დიპლომები.

დღეთევზე

შვეიცარიის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ჭრიჭკა-შვედურ გაზეთში

სტოკჰოლმი, 13 მაისი (საკდესი). ეწერება „ტიდენ“-ში, „ნიუ ტიდენ“-ში, „ტიდენ“-ში, „ტიდენ“-ში, „